სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ფუნქციური აღწერა

სამაგისტრო პროგრამებისთვის

ლექცია

ლექცია - აკადემიური დროის მონაკვეთი, როდესაც პროფესორი, ახალი ცოდნის ფორმირების მიზნით, ზეპირი ფორმით, სტუდენტურ აუდიტორიას გადასცემს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული ან სპონტანურად წარმოშობილი თემატიკის მიხედვით. ლექციამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა სააზროვნო აქტივობა, ემოციური კავშირის დამყარება ლექტორსა და სტუდენტებს შორის ანუ ინტერაქტიური გარემოს შექმნა, რისთვისაც გამოყენება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ინდუქცია, დედუქცია, დემონსტრირება თვალსაჩინო მასალის ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და სხვ. ლექცია შეიძლება ჩაატაროს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა ან დარგში აღიარებულმა, ან პრაქტიკოსმა სპეციალისტმა, ან ლექცია შეიძლება ჩატარდეს პრაქტიკის ობიექტზე, დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ.

სალექციო მეთოდით გათვალისწინებული აქტივობები

ინტერაქტივი:

ლექციის ფარგლებში, თემის დამუშავება, სტუდენტებთან აქტიური დიალოგის ფორმატით ან სემინარის ფარგლებში კონკრეტულ საკითხზე/თემაზე/პრობლემაზე მუშაობა დიალოგის ფორმატით. აქტივობა შეიცავს დედუქციური და ევრისტიკული სტრატეგიების ელემენტებს.

მეთოდი განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას, რთული და არასრული ინფორმაციის აღქმისა და სინთეზის უნარს
- კრიტიკული ანალიზის უნარს
- ოპერატიულ აზროვნებას

მეთოდი უზრუნველყოფს:

- სტუდენტთა ყურადღების მაღალი კონცენტრაციის მიღწევას და შენარჩუნებას
- გადაცემული მასალის/ინფორმაციის გაგების ხარისხის ექსპრეს მონიტორინგს მეცადინეობის მთელ პერიოდზე

პრეზენტაცია:

ლექციის ფარგლებში მასალის/ინფორმაციის ვიზუალიზაციისათვის ელექტრონული ან მატერიალური საშუალებების გამოყენება.

მეთოდი განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას, რთული და არასრული ინფორმაციის გაგების უნარს
- კრიტიკული ანალიზის უნარს
- კომუნიკაციის უნარს

მეთოდი უზრუნველყოფს:

- მაღალ მნემურ ეფექტს, რაც მიიღწევა ინფორმაციის გადაცემის აუდიო და ვიზუალური საშუალებების სინთეზური გამოყენებით.

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია ინტერაქტიური და საპრეზენტაციო ლექციების კომბინაცია, რაც საგრძნობლად აამაღლებს სასწავლო ეფექტს

დარგის სპეციალისტის ლექცია:

ლექცია, რომელსაც ატარებს დარგის ცნობილი სპეციალისტი/ექსპერტი, მათ შორის, პრაქტიკოსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემაზე ან თანამედროვე პრაქტიკული მიღწევების, ან უახლესი მეცნიერული მიღწევების შესახებ

მეთოდი განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას, რთული და არასრული ინფორმაციის გაგების უნარს
- სპეციალისტთა სააზროვნო კლიშეების გაცნობას და გამოყენებას (სპეციალისტთა წრეში პროფესიული კომუნიკაციის უნარის ფორმირებისთვის)
- პროფესიული სიამაყის გრძნობას და პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ახლებურად გააზრების უნარს
- პროფესიული მოტივაციის გაღრმავებას.

ვიდეო მასალის ჩვენება-კომენტირება:

ლექცია, რომელიც ტარდება ვიდეო მასალის ჩვენებით, გამოიყენება, როგორც დამხმარე ხერხი თეორიულად განხილული საკითხების ვიზუალიზაციის, ცალკეული თეორიების, დებულებების დადასტურების ან პრაქტიკული მაგალითების დემონსტრირებისთვის.

მეთოდი განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას
- პრაქტიკული მაგალითების ანალიზის უნარს
- კრიტიკული ანალიზის უნარს
- დასმული საკითხის/პრობლემას მრავალმხრივად შეფასების უნარს

მეთოდი უზრუნველყოფს:

- სწავლის მოტივაციის ამაღლებას
- მაღალი მნემური ეფექტის მიღწევას ვერბალური და ვიზუალური კომუნიკაციის სინთეზის გზით

ექსპრეს გამოკითხვა:

გულისხმობს ლექციის ბოლოს რამდენიმე წუთის გამოყოფას და სტუდენტებისგან, წერილობითი ფორმით, ინფორმაციის მიღებას გადაცემული/დამუშავებული მასალის გაგების შესახებ.

აქტივობა არ გამოიყენება სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის.

აქტივობა ეფექტურია უკუკავშირის მიზნებისათვის, პროფერსორს/მასწავლებელს ეხმარება შეაფასოს ჩატარებული მეცადინეობის ხარისხი, გამოყენებული მეთოდის ეფექტურობა.

გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახით: სტუდენტებს მიეცემათ 1-2 წუთი, რომ ნახევარ გვერდზე უპასუხონ ორ კითხვას:

- რას თვლიან ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად/საკითხებად ჩატარებული ლექციიდან
- ყველაზე ნაკლებად რა საკითხი/საკითხები არის მათთვის გასაგები (ამ ფორმით კითხვის დასმა განპირობებულია გულწრფელი პასუხის მიღების მიზნით).

ან შეიძლება დაევალოთ ერთი წინადადებით ან ერთი აბზაცით შეაჯამონ ლექცია და სხვა.

აქტივობა განავითარებს:

- თვითანალიზის უნარს
- საკუთარი შემეცნებითი პროცესის მართვის უნარს
- სასწავლო მოტივაციას
- საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზისა და შეფასების უნარს
- პროფესორის მხრიდან - მეცადინეობის უკეთ დაგეგმვას, სწავლების ეფექტური მეთოდების შერჩევას

სემინარი / სამუშაო ჯგუფში მუშაობა

სემინარი:

მეცადინეობა, რომელიც გულისხმობს პროფესორის ან პროფესორის ასისტენტის, ან მასწავლებლის მუშაობას სტუდენტთა მცირე ჯგუფთან, რომლის მიზანი შეიძლება იყოს:

- ლექციით მიღებული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება;
- პრობლემის კრიტიკული ხედვისა და ანალიზის უნარის განვითარება;
- მეცნიერული/კვლევითი აზროვნების ფორმირება/განვითარება;
- დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარება;
- დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურობის ხარისხის შეფასება.

აქედან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამების სწავლა-სწავლების პროცესში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას სემინარის შემდეგი სახეები:

- **სასწავლო სემინარი** (სემინარი), როგორც სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს ცალკეული კურსის ფარგლებში დამუშავებული კონკრეტული თემის გაღრმავება-განმტკიცებას.
- **პრობლემური სემინარი**, როგორც აკადემიური პროგრამის დამოუკიდებელი კომპონენტი - თავისი არსით დისციპლინათშორისია და გულისხმობს დარგობრივი პრობლემის მეცნიერულ კვლევას სხვადასხვა ასპექტით. შესაბამისად, პრობლემური სემინარის განხორციელებაში შესაძლებელია მონაწილეობდნენ სხვადასხვა დისციპლინის წამყვანი პროფესორები.

- **ბლოკ-სემინარი**, როგორც აკადემიური პროგრამის დამოუკიდებელი კომპონენტი, ეფუძნება პრობლემის/კომპლექსური პრობლემის კვლევას. ის თავისი არსით დისციპლინათშორისია და ორიენტირებულია მეცნიერული/კვლევითი აზროვნების ფორმირება/განვითარებისთვის.

ბლოკ-სემინარის რეგლამენტი განსხვავებულია. ის გულისხმობს 6-8 საკონტაქტო საათის ჩატარებას ინტენსიურად, 1-2 დღის მანძილზე, რის შემდეგაც, ერთი ან რამდენიმე კვირის განმავლობაში, საკონტაქტო მეცადინეობები წყდება 2-3 კვირით. დროის ამ მონაკვეთს სტუდენტები იყენებენ მიღებული დავალებების შესრულებისა და კვლევების დამოუკიდებლად ჩასატარებლად. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ საკონტაქტო მეცადინეობები კვლავ აღდგება ინტენსიური რეჟიმით, რომელიც გამოიყენება დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს განხილვის, ახალი თემების დამუშავებისა ან/და შეფასებისთვის.

ბლოკ-სემიანარი შესაძლებელია მოიცავდეს, როგორც ერთი, ისე რამდენიმე თემის/პრობლემის კვლევას სხვადასხვა ასპექტით. ამდენად, მის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობდნენ სხვადასხვა დისციპლინის წამყვანი პროფესორები.

სამივე სახის სემინარზე შესაძლებელია სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურობისა და ცოდნის ხარისხის შეფასება.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა:

გულისხმობს პროფესორის ან ასისტენტის, ან მოწვეული სპეციალისტის მუშაობას სტუდენტთა მცირე ჯგუფთან ლექციაზე მიღებული ცოდნის განმტკიცების ან/და დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. შესაძლებელია კონკრეტული აქტივობის გამოყენება სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად.

სემინარის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდით

გათვალისწინებული სასწავლო აქტივობები

ფორუმი:

მეთოდი გულისხმობს სტუდენტების მიერ საკუთარი მოსაზრების გამოხატვას ინდივიდუალურად ლექტორის ან სტუდენტის მიერ დასმული საკითხის, პრობლემის, შემთხვევის გარშემო. ეს აქტივობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტრონული რესურსების გამოყენებითაც.

აქტივობა განავითარებს:

- რთული და არასრული ინფორმაციის აღქმისა და კრიტიკული ანალიზის უნარს
- ცოდნის სისტემატიზაციის უნარს
- არაორდინალურ/ქაოსურ საკომუნიკაციო გარემოში არგუმენტაციის, დამაჯერებლობისა და პრეზენტაბელურობის უნარს
- ინფორმაციულ ქაოსში სხვადასხვა აზრის მოსმენის, ოპერატიულად გაანალიზების, შეფასებისა და არსებითი ინფორმაციის გამოყოფის/ გაცნობიერების უნარს

- ინფორმაციის მართვის უნარს
- სხვისი აზრის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების უნარს
- ცოდნის სისტემატიზაციის უნარს
- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების შეფასების უნარს

დებატები:

დასმული პრობლემის, საკითხის გარშემო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად, რისთვისაც ეძლევათ გარკვეული დრო. ჯგუფები ირჩევენ სპიკერებს, რომლებიც ჯგუფში ჩამოყალიბებული აზრის პრეზენტაციას აკეთებენ სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, პოსტერის გამოყენებით. პრეზენტაციის შემდეგ თითოეული ჯგუფი სვამს კრიტიკულ შეკითხვებს.

აქტივობა განავითარებს:

- ჯგუფური მუშაობის კულტურას, ზოგადად, და გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების უნარს
- ინფორმაციის სელექციის უნარს
- ცოდნის სისტემატიზაციის უნარს
- არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარს
- სხარტ და კრიტიკულ აზროვნებას
- პრობლემის გაცნობიერებისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს
- ორიგინალური იდეების შემუშავების უნარს

აქტივობა ხელს უწყობს:

- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების შეფასების უნარს.

მრგვალი მაგიდა:

აკადემიური ჯგუფი იყოფა მიკრო ჯგუფად, რომლებსაც ერთი თემის სხვადასხვა ასპექტი ეძლევათ განსახილველად. სტუდენტები ჯგუფურად მუშაობენ დავალებაზე და აყალიბებენ ერთიან პოზიციას. მეცადინეობის ბოლოს ხდება პოზიციების შეჯერება. მეთოდი, ძირითადად, გამოიყენება მასალის გაღრმავება-განმტკიცებისათვის.

აქტივობა განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას
- კომპლექსური პრობლემის გაცნობიერების უნარს
- ჯგუფური მუშაობის კულტურას, ზოგადად, და გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების უნარს
- სრული და არასრული ინფორმაციის ინტეგრირების უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს
- პროფესიულ წრეში კომუნიკაციის უნარს

აქტივობა ხელს უწყობს:

- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების შეფასების უნარს

პრობლემის ტრანსფერი:

სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად. ერთ-ერთ ჯგუფს ეძლევა პრობლემა, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა განიხილოს და მოძებნოს გადაწყვეტის გზა. დროის ამოწურვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება გადაეცემა შემდეგ ჯგუფს, რომელიც აფასებს გადაწყვეტილების ძლიერ და სუსტ მხარეს, იზიარებს ან აკრიტიკებს მას. იქვე სთავაზობს პრობლემის

გადაწყვეტის საკუთარ გზას. აღნიშნული მასალა გადაეცემა შემდეგ ჯგუფს და ა.შ. მეცადინეობის ბოლოს ლექტორის ხელმძღვანელობით ხდება შესრულებული სამუშაოს განზოგადება.

აქტივობა განავითარებს:

- პრობლემის მრავალმხრივი შეფასებისა და გადაწყვეტის უნარს
- ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და შეფასების უნარს
- ჯგუფური მუშაობის უნარს
- სხვისი აზრის შეფასებისა და ანალიზის უნარს პროფესიული ეთიკის დაცვით
- პროფესიულ საზოგადოებაში წერითი კომუნიკაციის უნარს
- სრული და არასრული ინფორმაციის ინტეგრირების უნარს
- არაორდინალურ სიტუაციაში მუშაობის უნარს
- ორიგინალური იდეების შემუშავების უნარს
- არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარს
- სამუშაო დროის ოპტიმიზაციის უნარს

აქტივობა ხელს უწყობს:

- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების შეფასების უნარს

გადაწყვეტილების ხე:

სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად, რომლებსაც ეძლევათ იდენტური პრობლემა განსახილველად. ჯგუფები აყალიბებენ პრობლემის გადაწყვეტის საკუთარ ვერსიას დადებითი და უარყოფითი შედეგების ჩვენებით, ძლიერი და სუსტი მხარეების მინიშნებით. მეცადინეობის ბოლოს ლექტორის ხელმძღვანელობით ხდება გადაწყვეტილების სისტემატიზაცია და განზოგადება.

აქტივობა განავითარებს:

- პრობლემის გაცნობიერებისა და გადაწყვეტის გზების ძიების უნარს
- ჯგუფური მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს
- არსებული სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსვლის ძიების უნარს

- მიღებული გადაწყვეტილების გაანალიზების უნარს
- არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარს
- ორიგინალური იდეების შემუშავების უნარს

აქტივობა ხელს უწყობს:

- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების შეფასების უნარს

ქეისის რუქა:

ლექტორი სტუდენტებს წარუდგენს კონკრეტულ ქეისს. ისინი ქეისით მოცემულ ინფორმაციას, დროის დათქმულ მონაკვეთში, აჯგუფებენ სხვადასხვა ნიშნით და იძლევიან მისი ამოხსნის საკუთარ ვერსიას.

მაგალითად:

ა) მოვლენათა განვითარება დროისა ან სივრცის მიხედვით;
ბ) ქეისში მითითებული პრობლემის წარმოშობის მიზეზების მიხედვით;
გ) ქეისში მითითებული პრობლემის წარმოშობის წინაპირობების, გადაწყვეტის გზების ან პრობლემის თავიდან აცილების გზების მიხედვით და ა.შ.

აქტივობის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის ფორმატით.

აქტივობა განავითარებს:

- სიტუაციური სურათის კრიტიკულად აღქმას, შესაბამისი ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- სიტუაციის სტრუქტურირების უნარს
- პრობლემის გაანალიზების უნარს სიტუაციის კონტექსტში
- პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ძიების უნარს
- პრობლემის თავისებურებების შეფასების უნარს
- პრობლემის პრევენციის უნარს
- ორიგინალური იდეების შემუშავების უნარს
- სამუშაო დროის მართვის უნარს

პრობლემის დიაგრამა:

სასწავლო კურსის ხელმძღვანელი სტუდენტებს წარუდგენს ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ შემთხვევას, რომელშიც მოცემულია იდენტური სახის პრობლემა ან აწვდის ორ იდენტურ შემთხვევას, სადაც დასმული პრობლემები სრულიად განსხვავებულია. სტუდენტის მოვალეობაა მოახდინოს დასმული პრობლემის სტრუქტურირება – მათი დაყოფა სხვადასხვა ინფორმაციის მომცველ დიაგრამებად.

დიაგრამები შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ინფორმაცის:

I დიაგრამა – ორივე შემთხვევის მოკლე აღწერა, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები (თუ ქეისის შინაარსი განსხვავებულია);
II დიაგრამა – პრობლემამდე გავლილი გზა, ორივე შემთხვევისათვის ცალ-ცალკე, მათი განმასხვავებელი და საერთო ნიშნები (თუ ორივე შემთხვევის შინაარსი იდენტური არ არის);
III დიაგრამა – მოცემული შემთხვევით წარმოდგენილი პრობლემის აღწერა თითოეულისათვის ცალ- ცალკე, დამაკავშირებელი და განმასხვავებელი ნიშნების მითითებით;
IV დიაგრამა – გადაჭრის გზები (შესაძლებელია გადაჭრის გზები იყოს იდენტური ან სრულიად განსხვავებული).

აქტივობა განავითარებს:

- სრული და არასრული ინფორმაციის მართვის უნარს
- ინფორმაციის სელექციის უნარს
- სიტუაციური სურათის კრიტიკულად აღქმის, შეფასებისა და არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარს
- იდენტურ სიტუაციაში დაგროვილი გამოცდილების კონცენტრაციისა და ახალი პრობლემის გადასაწყვეტისათვის მისი გამოყენების უნარს
- არაორდინალურ გარემოში ადეკვატურად მოქმედების უნარს
- ორიგინალური იდეების შემუშავების უნარს

დისკუსია;

მეცადინეობა, რომლის დროსაც სტუდენტები იხილავენ ლექტორის მიერ მიწოდებულ ან სტუდენტის მიერ წამოჭრილ პრობლემას, თემას, საკითხს, ან მოძიებულ სასწავლო/ინოვაციურ ინფორმაციას. მეცადინეობაზე შეიძლება შეიქმნას იმპროვიზირებული ჯგუფები, რომლებიც წარადგენენ ჯგუფურად შემუშავებულ არგუმენტებს.

- პროფესიონალთა წრეში კომუნიკაციის უნარს
- კრიტიკული აზროვნების უნარს
- არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარს
- პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს
- სფეროს კომპლექსური საკითხების გააზრება/გაცნობიერების უნარს
- პროფესიული ღირებულებების ახლად გააზრებისა და ოპერირების უნარს

ვიდეო მასალის ჩვენება-განხილვა;

გულისხმობს პრაქტიკული მაგალითების, დოკუმენტური მასალის ვიზუალურ დემონსტრირებას და განხილვას. განხილვა შეიძლება განხორციელდეს, როგორც დებატებით, ისე ინდივიდუალური ანალიზით.

აქტივობა განავითარებს:

- კრიტიკული აზროვნების უნარს
- პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს
- დარგობრივი პრობლემის მიმართ ინტერესს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- მასალის ცოდნასა და გაცნობიერებაზე, აგრეთვე, ზოგადი უნარ-ჩვევების ხარისხზე მონიტორინგის განხორციელებას
- სასწავლო მოტივაციის განვითარებას
- ყურადღების მაღალ კონცენტრაციას

პრაქტიკული მუშაობა

მიზნად ისახავს ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის ფორმირებას. პრაქტიკულ მეცადინეობებზე მიმდინარეობს პრაქტიკულ მაგალითებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების პროცესი ან ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავება, ან შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, ან რეალობასთან მიახლოვებული სიტუაციების გათამაშება, აგრეთვე, ამ სამუშაოთა ფარგლებში გამოვლენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება.

პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდით გათვალისწინებული აქტივობები

პროფესიული პრაქტიკა/კლინიკა:

არის დარგობრივ კომპანიაში/დაწესებულებაში სტუდენტთა მცირე დროით მივლინება პრაქტიკული საქმიანობის გაცნობისა და ამ საქმიანობაში უშუალო მონაწილეობის მიღების მიზნით.

მეთოდი განავითარებს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- სამუშაო გარემოსთან ადაპტირებისა და მართვის უნარის ჩამოყალიბებას
- პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს
- სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის უნარს
- პროფესიულ მოტივაციას
- პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარს
- პროფესიული ღირებულებებით ოპერირების უნარს

მასტერკლასი:

გულისხმობს დარგის აღიარებული სპეციალისტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრირებას და ამ პროცესში სტუდენტთა უშუალო მონაწილეობას

მეთოდი განავითარებს:

- დარგობრივ და ზოგად უნარ-ჩვევებს
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს

- დარგისათვის დამახასიათებელ პროფესიულ ლექსიკას და მისი გამოყენების უნარს პროფესიონალთა წრეში კომუნიკაციის განხორციელებისათვის

ვორქშოფი:

მეცადინეობა, რომელიც ტარდება სალექციო და პრაქტიკული მუშაობის სინთეზით საათების მაღალი კონცენტრაციის პირობებში.

მეთოდი უზრუნველყოფს:

- დისციპლინის ფარგლებში კომპლექსური საკითხების/პრობლემების გაცნობიერებას
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას
- კომუნიკაციის და ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის განვითარებას
- სასწავლო მოტივაციის განვითარებას
- ყურადღების მაღალ კონცენტრაციის მიღწევას
- პროფესორს/მასწავლებელსა და სტუდენტებს შორის შემეცნებით-შემოქმედებითი და ემოციური გარემოს შექმნას

როლური თამაში:

არის მატერიალურ და წარმოსახვით ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოვებულ გარემოს, სადაც სტუდენტები როლური ფუნქციის ფარგლებში წყვეტენ დასმულ ამოცანებს

აქტივობა განავითარებს:

- საკუთარი შესაძლებლობების შეფასების უნარს
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- მოქმედების ალგორითმის ლოგიკურად აგება და განხორციელება
- არაორდინალურ/გაუთვალისწინებელ სიტუაციაში სხარტი და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს
- პრობლემის ან კომპლექსური პრობლემის შეფასებისა და გადაჭრისათვის ადეკვატური მეთოდის გამოყენების, ამ პროცესში სოციალური ფაქტორების გათვალისწინების უნარს ემოციის მართვის უნარს.
- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების გააზრების და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს

კაზუსის ანალიზი/ამოხსნა:

კაზუსი არის შემთხვევა სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკიდან, რომელიც პრაქტიკული მეცადინეობის ან სემინარის ფარგლებში განიხილება.

აქტივობა განავითარებს:

- სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირებისა და კრიტიკული ანალიზის უნარს
- ლოგიკური აზროვნების უნარს
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს

- ეთიკური და სამართლებრივი ღირებულებების გააზრებისა და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს
- კომპლექსური საკითხის/პრობლემის გაცნობიერებსა და მისი გადაჭრისათვის ორიგინალური გზების ძიების უნარს

ქეისი:

მაგალითი/შემთხვევა პრაქტიკიდან, რომელიც დამახასიათებელი ან განსაკუთრებულია ამ თუ იმ კონკრეტული დარგისთვის

აქტივობა განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- ლოგიკური აზროვნების უნარს
- პრობლემის იდენტიფიცირების და კრიტიკული ანალიზის უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს
- კომპლექსური საკითხის/პრობლემის გაცნობიერებსა და მისი გადაჭრისათვის ორიგინალური გზების ძიების უნარს.
- პროფესიულ-ეთიკურ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.

მუშაობა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით:

გულისხმობს მეცადინეობას, რომელზეც გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები კონკრეტული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, აგრეთვე, სტუდენტის მიერ ამ ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო მიზნებისთვის.

აქტივობა განავითარებს:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს სასწავლო მიზნებისთვის და/ან კონკრეტული დარგობრივი/სამსახურებრივი ამოცანის გადასაჭრელად
- ინფორმაციის მოძიების და მართვის უნარს
- საკომუნიკაციო-საპრეზენტაციო უნარს

სავარჯიშოებზე მუშაობა:

არის სპეციალური სასწავლო დავალება, რომლის მიზანია სტუდენტის ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარება (შესაძლებელია სემინარის მეთოდის ფარგლებშიც)

აქტივობა უზრუნველყოფს:

- პრობლემის კრიტიკული გააზრებას
- პრობლემის გადასაჭრელად უახლესი მეთოდების შერჩევისა და გამოყენების უნარის განვითარებას
- ორიგინალური გზით გადაწყვეტის უნარის განვითარებას

კონსულტაცია:

დამოუკიდებელი კომპონენტია, რომელიც გულისხმობს მცირერიცხოვან ჯგუფთან (1-5 სტუდენტი) ჩატარებულ მუშაობას კონკრეტული საკითხების დამატებით ახსნის და/ან რთული დავალებების შესრულების მიზნით.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- მასალის სიღრმისეულად გაგება-გააზრებას
- იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლის დეფიციტიც იგრძნობა კონკრეტულ შემთხვევაში
- სასწავლო მოტივაციის განვითარებას
- საკუთარ შესაძლებლობაში რწმენის განმტკიცებას.

შეფასების მეთოდების ფუნქციური აღწერა

სამაგისტრო პროგრამებისთვის

სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია/გამოკითხვა

არის შეფასების ზეპირი ფორმა, რომელიც ავლენს:

- მასალის ღრმა, სისტემური ცოდნას - ფაქტებისა და მოვლენების, ტენდენციების, პროცესების კრიტიკულად გააზრების ხარისხს
- სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების უნარს
- აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარს

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი:

არის წერითი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომელიც სრულდება სტუდენტის მიერ პროფესორის ხელმძღვანელობით მასთან შეთანხმებული თემის ფარგლებში.

მეთოდი ავლენს:

- სტუდენტის სისტემურ ცოდნას აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებით (თუ ნაშრომი საკვალიფიკაციოა) ან კონკრეტული დისციპლინის კონკრეტული თემის გარშემო
- პრობლემის ხედვისა და მისი გადაჭრისათვის ორიგინალური გზების დასახვის უნარს
- ინფორმაციის მოძიებისთვის მატერიალური და ციფრული საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უნარს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე
- ინფორმაციის სტრუქტურირების, არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების, ანალიზისა და სინთეზის უნარს
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნების, ამოცანების განსაზღვრის და კვლევისათვის ადეკვატური მეთოდების გამოყენების უნარს
- პროფესიულ საზოგადოებასთან წერითი და ვერბალური (აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის შემთხვევაში) კომუნიკაციის უნარს
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს აკადემიური და ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს
- კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო გარემოსთან ადაპტირებისა და მართვის უნარს
- პროფესიულ ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარს
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს

სიტუაციური ანალიზი (და არა სიტუაციის):

არის კვლევითი ხასიათის წერითი ნაშრომი, რომელიც გულისხმობს მიმდინარე მოვლენის, პროცესის, რთული პრობლემის, მულტიდისციპლინური გარემოს, ორგანიზაციის კომპლექსურ კვლევას, მოქმედ ფაქტორთა გამოვლენას, დაჯგუფებას, დადებითი და უარყოფითი ტენდენციების კრიტიკულ ანალიზს და ა.შ. ნაშრომში გამოკვეთილი უნდა იყოს რთული

პრობლემა პრობლემა და მისი გადაწყვეტის ავტორისეული გზა, აგრეთვე, ამ გზის ეფექტურობის/უპირატესობის შეფასება და დასაბუთება.

მეთოდი განავითარებს:

- ცოდნის პრაქტიკასა და კვლევით საქმიანობაში გადატანის უნარს
- კომპლექსური კვლევისთვის მრავალფეროვანი მეთოდების ადეკვატურად გამოყენების, შედეგების სტრუქტურირებისა და არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარს
- სიტუაციური კონტექსტის ობიექტურად აღქმისა და პრობლემის/კომპლექსური პრობლემის ხედვის უნარს, შესაბამისად, მისი გადაწყვეტის გზის განსაზღვრისა და გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარს
- მულტიდისციპლინურ გარემოში არსებული რთული პრობლემის, ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარს
- პროფესიულ საზოგადოებასთან წერითი და ვერბალური (აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის შემთხვევაში) კომუნიკაციის უნარს
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს
- სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის განსაზღვრის უნარს
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს

ესსე:

ესსე არის თხზულების ერთ-ერთი სახე, რომელიც გადმოსცემს გავრცელებულ საერთო აზრს ან ავტორის (სტუდენტის) მოსაზრებას ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის, მოვლენის, ფაქტის, აზრის შესახებ.

ესსესთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. მისი უპირატესობა თხზულების სხვა ფორმებთან ის არის, რომ ესსე შეიძლება დაიწეროს ერთი კონკრეტული საკითხის შესახებ (და არა გლობალური თემის). ესსე შეიძლება შეიცავდეს საორიენტაციო კითხვების/დავალებების პაკეტს.

განარჩევენ ესსეს ორ სახეს - ინფორმაციულსა და არგუმენტირებულს.

- ინფორმაციული ესსე გულისხმობს ამა თუ იმ მოვლენის ან ფაქტის აღწერას, ზოგად ანალიზს (და არა სიღრმისეულს), ან ახსნას.
- არგუმენტირებული ესსე წარმოაჩენს ავტორის საკუთარ პოზიციას/ მოსაზრებას დასმული საკითხის გარშემო და, შესაბამისად, არგუმენტებს, რომელიც დაასაბუთებს წარმოდგენილი პოზიციის/მოსაზრების უპირატესობას.

ესსეს სტრუქტურა ძირითადად სამი ნაწილისგან შედგება:

შესავალი - უნდა გამოიკვეთოს მიზანი, განსახილველი საკითხები, თემის მნიშვნელობა/ აქტუალობა/მოტივაცია.

ძირითადი ნაწილი - უნდა შეიცავდეს ავტორისეულ ანალიზს, საკუთარ პოზიციას, ლოგიკურ და არგუმენტირებულ მსჯელობას.

დასკვნა - აჯამებს, აკონკრეტებს ესსეში მოცემულ მოსაზრებებს.

მეთოდი ავლენს:

- წერითი კომუნიკაციის უნარს
- ფაქტის, მოვლენის, პროცესის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარს
- არგუმენტების/კონტრარგუმენტების ჩამოყალიბების უნარს
- საკუთარი პოზიციისგამოკვეთისა და დასაბუთების უნარს
- საკუთარი შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- აკადემიური ეთიკის დაცვის უნარს

ინფორმაციის გაფილტვრა:

არის პროექტის ნაირსახეობა, რომელიც შეიცავს თემის ფარგლებში, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან შეგროვებულ ინფორმაციას. პროექტის მომზდებისთვის სტუდენტს ნაწილობრივ ან საერთოდ არ მიეთითება წყარო. იგი ვალდებულია თავად მოიძიოს, მოახდინოს მიღებული ინფორმაციის სელექცია/ ოპტიმიზაცია და სტრუქტურირება. ნაშრომი არ გულისხმობს ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, კომენტარს ან საკუთარი აზრის გადმოცემას - ის უნდა იყოს მხოლოდ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის მიმოხილვა, ზოგადი ანალიზი.

მეთოდი ავლენს:

- პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან წერითი კომუნიკაციის უნარს
- სრული და/ან არასრული ინფორმაციის ზოგადი ანალიზისა და სტრუქტურირების უნარს
- მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევის უნარს
- ინფორმაციის მოძიებისთვის მატერიალური და ციფრული საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უნარს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს

რეპორტი:

სამეცნიერო სტატიის/ლიტერატურის/შემოქმედებითი ნაშრომის ან მოვლენის, პროცესის მიმოხილვა

მეთოდი ავლენს:

- სრული ან არასრული ინფორმაციის/კვლევის შედეგების ანალიზის, სინთეზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- ნაშრომის სტრუქტურირებას დადგენილი სტანდარტით
- საანალიზო ნაშრომში დასმულ საკითხების/პრობლემების ადეკვატურად აღქმისა და ანალიზის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს.

კომენტარი:

შეიძლება იყოს წერითი ხასიათის ნაშრომი ან ზეპირი გამონათქვამი, რომელიც შეიცავს ფაქტის, მოვლენის, პროცესის, პუბლიკაციის, კანონის ავტორისეულ ინტერპრეტაციას, შეფასებას.

მეთოდი ავლენს:

- სისტემურ ცოდნას
- დაკვირვების უნარს, რაც აუცილებელია კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის
- იდენტიფიკაციის, შეფასებისა და ინტერპრეტაციის უნარს
- პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს
- სრული ან არასრული ინფორმაციის/კვლევის შედეგების ინოვაციური სინთეზისა და შეფასების უნარს
- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს
- დარგის განვითარებისათვის მიდევნების უნარს

რეცენზია:

არის წერითი ხასიათის ნაშრომი, რომელიც გულისხმობს წიგნის, სტატიის და სხვა შემოქმედებითი ან სამეცნიერო ხასიათის ნაშრომის კრიტიკულ ანალიზს, დადებითი და უარყოფითი მხარის გამოკვეთას, შეფასებას, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

მეთოდი ავლენს:

- კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარს
- აკადემიური პატიოსნებისა და პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ახლებურად გააზრებისა და პრაქტიკაში დამკვიდრების უნარს
- პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს
- დარგის განვითარებისათვის მიდევნების უნარს
- სრული ან არასრული ინფორმაციის სინთეზის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- სხვების საქმიანობის ხარისხის შეფასებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარს

სტატია:

არის წერითი ნაშრომი სტატიის ფორმატით, რომელიც შეიძლება იყოს სამეცნიერო, შემოქმედებითი ან პუბლიცისტური ხასიათისა (ჟურნალისტიკის პროგრამისთვის). ის შეიძლება დაიბეჭდოს ადგილობრივ ან საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით გამოცემებში, თუმცა, შეფასებისთვის სავალდებულო არ არის მისი გამოქვეყნება. თემა შეიძლება პროფესორის მიერ იქნას მითითებული ან სტუდენტებმა თვითონ შეარჩიონ პრობლემატიკა.

მეთოდი ავლენს:

- პრობლემის ხედვისა და მისი გადაჭრის გზები ს გაცნობიერების უნარს
- პრობლემის გადაჭრისათვის ორიგინალური გზების ძიების და პროფესიული ან არაპროფესიული საზოგადოებისთვის წარდგენის უნარს
- კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საკუთარი აზრის კომპაქტურად სტრუქტურირების და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარს
- არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირებისა და დასკვნის გაკეთების უნარს

- სრული ან არასრული ინფორმაციის, უახლესი კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და დასკვნების გაკეთების უნარს
- დარგის განვითარებისათვის მიდევნების უნარს
- აკადემიური პატიოსნებისა და პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების გააზრებისა და პრაქტიკაში დამკვიდრების უნარს

ექსპერტიზა:

სასწავლო აქტივობა, იმიტაციური ხასიათისაა და გულისხმობს სტუდენტის მიერ ჩატარებულ კვლევას კონკრეტული შემთხვევის, ფაქტის, დოკუმენტის, პროექტის გარშემო. მან პასუხი უნდა გასცეს დასმულ კითხვას/კითხვებს, რომელიც სპეციფიკურ, გაღრმავებულ ცოდნას მოითხოვს. კვლევის შემდეგ სტუდენტი წერს ე.წ. ექსპერტულ დასკვნას, რომელშიც აღწერილია კვლევის მიმდინარეობა/პროცედურა, დასაბუთებულია ესა თუ ის პოზიცია, დადასტურებული ან უარყოფილია დასმული კითხვით გადმოცემული ფაქტი.

ექსპერტიზა, დასმული ამოცანის მიხედვით, შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- დიაგნოსტიკური
- სიტუაციური
- საკლასიფიკაციო
- რეკონსტრუქციული
- საიდენტიფიკაციო
- პროექტის

მეთოდი ავლენს:

- სისტემურ ცოდნას
- იდენტიფიკაციისა და ობიექტური შეფასების უნარს
- არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- ექსპერტულ აზროვნებას და პროფესიულ პასუხისმგელობას
- საკუთარი აზრის კომპაქტურად სტრუქტურირების და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარს
- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ახლებურად გააზრებისა და პრაქტიკაში დამკვიდრების უნარს.
- სრული ან არასრული ინფორმაციის სინთეზის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- სხვების საქმიანობის ხარისხის შეფასებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარს
- ეთიკური პრინციპების დაცვის უნარს

რეფერატი:

არის სამეცნიერო ტიპის ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი წერს პროფესორთან შეთანხმებული თემის ფარგლებში.

განირჩევა ძირითადად ორი სახის რეფერატი - მიმოხილვითი და ანალიტიკური

- **მიმოხილვითი რეფერატი** გულისხმობს რამდენიმე წყაროს - წიგნის, სტატიის, სხვა სამეცნიერო ნაშრომის, მიმოხილვას ავტორისეული (სტუდენტის) კრიტიკული ანალიზის, კომენტარის ან საკუთარი პოზიციის კონსტატაციის გარეშე.
- **ანალიტიკური რეფერატი** - სხვადასხვა წყაროს ანალიზთან ერთად, ითვალისწინებს თემის/წყაროს მეცნიერულ/შემოქმედებით გააზრებას, კრიტიკულ ანალიზს, შეფასებას.

სამაგისტრო პროგრამებში რეკომენდირებულია, ძირითადად, ანალიტიკური რეფერატის გამოყენება.

რეფერატის სტრუქტურა სამი ნაწილისაგან შედგება:

შესავალი - თემის აქტუალობის/მნიშვნელობის დასაბუთება, პრობლემატიკის ჩვენება.

ძირითადი ნაწილი - გულისხმობს, კვლევითი რეფერატის შემთხვევაში, ავტორისეული (სტუდენტის) მსჯელობას - პრობლემის შეფასებას, საკუთარი არგუმენტებისა და დებულებების წარმოდგენას.

დასკვნა - გულისხმობს საერთო დასკვნას თემის გარშემო.

მეთოდი ავლენს:

- სისტემურ ცოდნას
- კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარს
- რთული პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზების ძიების უნარს
- აკადემიური სტილით წერის და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით
- სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრების აღქმის/გაგების, შეპირისპირებისა და მთლიან ტექსტად ფორმირების უნარს.
- ინფორმაციის მოძიებისთვის მატერიალური და ციფრული საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უნარს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართის უნარს
- პრობლემის ხედვისა და გაცნობიერების უნარს
- სრული ან არასრული ინფორმაციის/კვლევის შედეგების ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს.

იურიდიული კლინიკის/პრაქტიკის შედეგების შეფასება ხდება შეფასების აქ წარმოდგენილი ცალკეული კომპონენტით - რეფერატი, ესსე, სიტუაციური ანალიზი, რომელიც უტოლდება პრაქტიკის ანგარიშს ან სტუდენტის ცალკეული მოქმედება, რომელიც წარმოაჩენს მის პროფესიულ უნარებს.

სამაგისტრო ნაშრომის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მაგისტრატურის დებულებაში, ხოლო კრიტერიუმებს განსაზღრავს შესაბამისი სილაბუსი.